„დავიცვათ ადამიანთა ხმები და სახეები“

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS, მთავარი რედაქტორი

ასეთი სათაური შეურჩია პაპმა ლეონ XIV-მ გზავნილს, მიძღვნილს კომუნიკაციების მე-60 მსოფლიო დღისადმი, რომელიც 17 მაისს აღინიშნება. გზავნილი ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ინსტიტუციების მიმართ ნდობასა და ინფორმაციისა და კომუნიკაციების თემებს ეხება, ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს და შესაძლო საფრთხეს, რაც შეიძლება მოყვეს მის გულუბრყვილო ან განზრახ, თუ კრიმინალური ინტერესებით ნაკარნახევ გამოყენებას.

დღევანდელ საკომუნიკაციო ეკოსისტემებში ტექნოლოგია ურთიერთობებზე აქამდე შეუძლებელი გზებით ახდენს გავლენას - ინფორმაციულ არხებში შინაარსის შერჩევის ალგორითმებიდან დაწყებული, დამთავრებული ხელოვნური ინტელექტით, რომელიც მთელი ტექსტებისა და საუბრების რედაქტირებას ახდენს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტრუმენტები დიდ შედეგებს გვაძლევენ, ისინი ვერ ჩაანაცვლებენ ემპათიის, ეთიკისა და მორალური პასუხისმგებლობის უნიკალურ ადამიანურ შესაძლებლობებს. კომუნიკაციის მომავალმა უნდა უზრუნველყოს, რომ მანქანები ადამიანის სიცოცხლის სამსახურში მყოფ ინსტრუმენტებად დარჩნენ.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას მიმზიდველი, მაგრამ მცდარი, მანიპულაციური და მავნე შინაარსი, ცრურწმენები და სტერეოტიპები და გააძლიეროს დეზინფორმაცია ადამიანის ხმებისა და სახეების მიბაძვით. არსებობს ძნელად სათარგმნელი ინგლისური ტერმინი „uncanny“, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „შემაშფოთებელი“ ან „იდუმალი“, და გამოიყენება იმ დისკომფორტის აღსაწერად, რომელსაც განიცდით რეალისტურ, მაგრამ არა ,,ადამიანურ“ ციფრულ გამოსახულებასთან ურთიერთობისას. ფორმალური სრულყოფილების მიღმა, რასაც ამჟამად გვპირდება კომპიუტერული ანიმაცია, რაღაც უჩვეულოს ვგრძნობთ: ვცდებით

და ვენდობოდეთ იმას, რასაც ვხედავთ, მაგრამ, ამავდროულად, ბოლომდე დარწმუნებულები არ ვართ. ტექნოლოგია, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ცდილობდა ჩვენი ყურადღების მიპყრობას სოციალური ქსელების მოდელის მეშვეობით, რათა ის რეკლამის განმთავსებელთათვის მიეყიდა, ახლა, ჩატბოტების გაჩენით, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს ჩვენს უფრო მეტად „მიჯაჭვულობას“, ურთიერთობების დამყარებასა და მართვას. ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების ევოლუციას ეს გრძნობა უკიდურესობამდე მიჰყავს. ამ ტიპის პროგრამულ უზრუნველყოფასთან კავშირი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ვსაუბრობთ ადამიანთან, რომელიც უსმენს, რომელსაც ესმის, რომელიც არ განსჯის და ყოველთვის ხელმისაწვდომია.

ამიტომაც, ბუნებრივად მყარდება ამ პროგრამებთან ნამდვილი ურთიერთობა, მათი ნდობა და, შესაძლოა, მარტოსულობის ნაკლებ შეგრძნება. ფაქტები მეტყველებენ, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, პირადი რჩევებისა და უკუკავშირის მისაღებად ჩატბოტების გამოყენება იზრდება. ხელოვნურ ინტელექტზე გადაჭარბებული დამოკიდებულება ასუსტებს კრიტიკულ აზროვნებას და შემოქმედებით შესაძლებლობებს, ხოლო ამ სისტემების მონოპოლისტური კონტროლი შეშფოთებას იწვევს ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და უთანასწორობის გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე საუბრობენ „ხელოვნური ინტელექტის ფსიქოზის“ მზარდ ტალღაზე, რომელიც ხასიათდება დელირიუმის ბოდვითი ფორმებით, რაც გამოწვეულია ასეთ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ხანგრძლივი და ინტენსიური კავშირებით, ისინი აძლიერებენ მცდარ შეხედულებებს და იწვევენ რეალობისაგან სრულ მოწყვეტას. ფსიქოთერაპევტები შეშფოთებულნი არიან ტექნოლოგიის ზედმეტი ჩარევის შედეგებით ისეთ ფრთხილ და რთულ დინამიკაში, როგორიცაა ემოციური და საურთიერთო სივრცე.

პაპი ლეონიც გამოხატავს თავის გზანილში შიშს იმის თაობაზე, რომ ჩატბოტები „ჩვენი ემოციური მდგომარეობების ფარულ არქიტექტორებად“ იქცევიან, იქამდე, რომ „დაიპყრობენ და შეიჭრებიან ადამიანების ინტიმურ სფეროებში“. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, შევჩერდეთ და გადავწყვიტოთ, რომელი გზა ავირჩიოთ ხელოვნური ინტელექტის ჭეშმარიტად ადამიანური გამოყენებისათვის. სულ უფრო აქტუალური ხდება მედიაწიგნიერების დანერგვა საგანმანათლებლო სისტემებში, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის შესახებ წიგნიერებაში. როგორც კათოლიკეებს, ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევიტანოთ წვლილი იმის უზრუნველყოფაში, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, შეიძინონ კრიტიკული აზროვნების უნარი და გაიზარდონ სულიერი თავისუფლებით.

პატრიარქ ილია მეორის დაკრძალვაზე ვატიკანიდან საქართველოში ჩამოვიდა ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის დიკასტერიის პრეფექტი, კარდინალი კურტ კოხი. კარდინალთან ერთად დელეგაციაში იყვნენ: მონსენიორ ლადრაპა იარომირი, ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის დიკასტერიის თანამშრომელი; მთავარეპისკოპოსი ანტე იოზიჩი, სამოციქულო ნუნციუსი და დიპლომატიური კორპუსის დეკანი საქართველოში; მონსენიორ ალექსანდრ რაჰინია, პაპის დესპანის მრჩეველი საქრათველოში; ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი; მონსენიორ გევორქ ნორადუნგიანი, აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიუსი ერევანში.

უწმიდესი ლეონ XIV-ის სამოციქულო მოგზაურობა აფრიკის კონტინენტზე

13 აპრილს დაიწყო უწმიდესი პაპის სამოციქულო ვიზიტი აფრიკაში, კერძოდ, ალჟირში, კამერუნში, ანგოლასა და ეკვატორიულ გვინეაში. მოგზაურობა მოიცავს ამ ქვეყნების 11 ქალაქს. როგორც აღნიშნა ადამიანის მდგრადი განვითარების დიკასტერიის პრეფექტმა, კარდინალმა მაიკლ ჩერნიმ, „ამ ვიზიტით პაპს აფრიკის ქვეყნებისთვის ყურადღების მიქცევა სურს. ლეონ XIV-ს სურს დარწმუნდეს, რომ ქვეყნები და ადამიანები აფრიკას არ დაივიწყებენ“. 13 აპრილს ალჟირის აეროპორტიდან პონტიფექსი მაქამ ეშაჰიდისკენ - ალჟირის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა მემორიალისკენ გაემართა, რათა ქვეყნის გმირებისთვის პატივი მიეგო. „მოწამეთა მონუმენტი გვახსენებს, რომ ღმერთს ყოველი ქვეყნისთვის მშვიდობა სურს. თავისუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი, მხოლოდ მაშინ სრულდება გამარჯვებით, როცა ის გულებს მშვიდობით ავსებს. მე ვიცი, რა ძნელია პატიება. და მაინც, ახლა, როცა მთელ მსოფლიოში დაპირისპირება მრავლდება, წყენას ნუ გავამრავლებთ და თაობიდან თაობას ნუ გადავცემთ. მომავალი მშვიდობისმყოფელებს ეკუთვნის“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უწმიდესმა პაპმა.

უწმიდესი პაპი პრეზიდენტ ტრამპის სკანდალური პოსტის შესახებ

„კვირას დონალდ ტრამპმა ნამდვილი სასწაული მოახდინა: მან შეურაცხყო და გაანაწყენა ბევრი თავისი კონსერვატორი ქრისტიანი მხარდამჭერი“, - ნათქვამია The Guardian-ის მიერ 14 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში. საქმე ისაა, რომ 12 აპრილს დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში Truth Social გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც განაცხადა, რომ „ლეონ XIV სუსტია დანაშაულთან ბრძოლაში და საშინელია საგარეო პოლიტიკაში“, რომ მან თავი უნდა დაანებოს მემარცხენე რადიკალების ხელშეწყობას. ტრამპის მტკიცებით, ლეონ XIV პაპად სწორედ მისი წყალობით აირჩიეს: „მე რომ თეთრ სახლში არ ვყოფილიყავი, ლეონი ვატიკანში არ იქნებოდა“.

რომიდან ალჟირში გადაფრენისას, თვითმფრინავის ბორტზე გამართული პრესკონფერენციის დროს, ჟურნალისტებმა უწმიდეს პაპს ამ პოსტის გამო კომენტარი სთხოვეს: „მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ მსურს მასთან დებატების დაწყება. მტკიცედ გამოვდივარ ომის წინააღმდეგ, ვცდილობ ხელი შევუწყო მშვიდობას, პრობლემათა გადაწყვეტისას ვემხრობი დიალოგს და მულტილატერალიზმს. დღეს ბევრი ადამიანი იტანჯება, მრავალი უდანაშაულო დაიღუპა და, ვფიქრობ, ვიღაც უნდა ადგეს და განაცხადოს, რომ არსებობს უკეთესი გზა... ამას მხოლოდ ტრამპს კი არ ვეუბნები, არამედ მსოფლიოს ყველა ლიდერს: ბოლო უნდა მოვუღოთ ომს და შერიგებისა და მშვიდობისთვის ვიღვაწოთ... ტრამპის ადმინისტრაცია არ მაშინებს. კვლავაც ხმამაღლა ვაუწყებ სახარებისეულ გზავნილს, რომლისთვისაც მთელი ეკლესია იღვწის“.

„კმარა ომი!“

11 აპრილს, საღამოს, წმიდა პეტრეს მოედანზე, ათიათასობით მორწმუნესთან ერთად, უწმიდესმა პაპმა მშვიდობისთვის ლოცვა აღავლინა. „ომი მიჯნავს, სასოება აერთიანებს. ამპარტავნება ამცირებს, სიყვარული კი - აღამაღლებს. კერპთაყვანისცემა გვაბრმავებს, ცოცხალი ღმერთი გაგვანათლებს. ლოცვა არ არის თავშესაფარი, რომელშიც ჩვენს მოვალეობებს დავემალებით; არც უსამართლობით მოყენებულ ტკივილს გაგვიყუჩებს. ლოცვა ყველაზე უფრო უანგარო, უნივერსალური და განმაახლებელი პასუხია სიკვდილის. ჩვენ ვართ ერი, რომელიც უკვე აღდგა. ჩვენ ბედს არ ვემორჩილებით, ამქვეყნადაც კი, სადაც ადამიანები ერთმანეთის ჯვარცმას და მოკვლას განაგრძობენ და არაფრად აგდებენ სამართლიანობასა და გულმოწყალებას. კმარა საკუთარი თავისა და ფულის თაყვანისცემა! კმარა ძალაუფლების დემონსტრირება! კმარა ომი! ჭეშმარიტი ძალა სიცოცხლის მსახურებით ვლინდება. ამიტომ გავაერთიანოთ მილიონობით, მილიარდობით ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ძალა და ავანაზღაუროთ ზარალი, რომელიც ომის უგუნურებამ მოგვიტანა. დებო და ძმებო ყველა ხალხიდან და ერიდან! ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, რომელიც ტირის, სასოებს და კვლავ აღდგება“, - მიმართა უწმიდესმა პაპმა მორწმუნეებს.

ქალდეური წესის კათოლიკე ეკლესიამ ახალი პატრიარქი აირჩია

9 აპრილს უწმიდესმა პაპმა დააკმაყოფილა პატრიარქ ლუის რაფაელ საკოს გადადგომის თხოვნა. 9-15 აპრილს რომში შეკრებილმა სინოდმა ახალ პატრიარქად მთავარეპისკოპოსი ამელ შამონ ნონა აირჩია, რომელსაც პეტრე III ეწოდა. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული ხანგრძლივი კრიზისის გამო ადგილობრივი ქრისტიანული თემები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ასეთ დროს ეკლესიის ლიდერობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შექმნილ ვითარებაში ეკლესიის წინამძღოლი მხოლოდ სულიერი ლიდერი როდია. მის უნარებზე დიდადაა დამოკიდებული მორწმუნეთა უსაფრთხოება და ფიზიკური გადარჩენა. ამიტომ ქალდეველთა

ახალი პატრიარქის არჩევა უბრალო მოვლენა კი არ არის, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონში ეკლესიისა და ქრისტიანული იდენტობის შენარჩუნებისათვის.

პრეზიდენტ მაკრონის ვიზიტი ვატიკანში

10 აპრილს უწმიდესმა პაპმა სამოციქულო სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტი და მისი მეუღლე მიიღო. დახურულ კარს მიღმა პონტიფექსთან

ერთსაათიანი შეხვერდის შემდეგ ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ფრიად მოხარულია პაპთან შეხვედრით და რომ ისინი ერთ აზრზე თანხმდებიან: „მსოფლიო უთანხოებათა პირისპირ მშვიდობისთვის ღვაწლი ვალი და აუცილებლობაა“. იმავე დღეს პრეზიდენტი მაკრონი წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანს, პიეტრო პაროლინს და სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის მდივანს, მთავარეპისკოპოს პოლ რიჩარდ გალაჰერს შეხვდა. წმიდა საყდრის სახელმწიფო სამდივნოში შეხვედრისას მხარეებმა სხვადასხვა საერთაშორისო საკითხები, კერძოდ, მიმდინარე კონფლიქტები განიხილეს.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ივლიტის ეკლესიის დღეობა – ღვთაებრივი გულმოწყალების კვირადღე

ნუგზარ ბარდაველიძე

12 აპრილს, აღდგომის მომდევნო კვირას, რომელიც საქართველოში კვირაცხოვლობის სახელითაა ცნობილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში კათოლიკური ტაძრის დღეობა აღინიშნა. ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის ტრადიციის თანახმად, სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო და სხვადასხვა სამრევლოს მღვდელმსახურები დღესასაწაულის ერთად აღსანიშნავად სოფელ ივლიტას ესტუმრნენ და ადგილობრივ მრევლთან ერთად საზეიმო წმინდა წირვა აღავლინეს.

სოფელ ივლიტის კათოლიკე მრევლი, რომელსაც 1991 წელს, სრულიად უსამართლო ვითარებაში, ისტორიული ტაძარი იძულებით დაატოვებინეს, წლებია იკრიბება მცირე სამლოცველო სახლში, რომელიც ,,ღვთაებრივი გულმოწყალების“ სახელზეა ნაკურთხი, და კათოლიკე მღვდელმსახური სისტემატურად აღასრულებს ღვთისმსახურებას ლათინურ წესზე. წელსაც უმასპინძლა სამლოცველომ ტაძრის ზეიმზე ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმარს; ეპისკოპოსის მიერ აღვლენილ მსახურებას, ივლიტელ კათოლიკეებთან ერთად, მრავალი მორწმუნე დაესწრო, როგორც ახალციხიდან, ასევე ახლომდებარე სოფლებიდან; იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მობრძანებული სტუმრები.

ივლიტის ტაძარს დიდი ისტორია აქვს; გადმოცემის თანახმად, ის მე-13 საუკუნეში აუგიათ, ხოლო მე-18 საუკუნის დასაწყისიდან აქ უკვე კათოლიკური სამრევლო არსებობდა. ამ ტაძარს მრავალ სასწაულს მიაწერენ და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში აქ მთელი სამცხე-ჯავახეთიდან, როგორც ლათინური, ასევე სომხური წესის კათოლიკე მორწმუნეები მოდოდნენ თაყვანისცემისა და ვედრებისათვის. აღსანიშნავი ფაქტია, რომ როდესაც მე-19 საუკუნის დასაწყისში (მაშინ სამცხე-ჯავახეთი ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო), ლათინური წესის კათოლიკე სასულიერო პირების ნაკლებობის გამო, ივლიტაში სომხურ-კათოლიკური წესის, ოღონდ ეთნიკურად ქართველი, მღვდელმსახური მიავლინეს, ტაძარში ქადაგება და ლოცვები ქართულ ენაზე აღესრულებოდა; ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართულენოვანი პარტეზები, რომელთაც მორწმუნეები იყენებდნენ ყოველდღიური ლოცვების დროს. გასული საუკუნის 30-იან წლებში ივლიტის ტაძარი დაიხურა, მაგრამ მლოცველთა ნაკადი მთელი სამცხე-ჯავახეთიდან ნახევრად ფარულად, მაგრამ მუდმივად სტუმრობ-

და და მოილოცავდა ტაძარს. 1991 წლამდე ტაძრის შიდა სივრცეში დაცული იყო მრავალრიცხოვანი შემოწირულობაც, რაც საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

ივლიტის ტაძრის ჩამორთმევის შემდგომ ადგილობრივი კათოლიკური სამრევლო გააქტიურდა, დაიწყო მოთხოვნები ტაძრის დაბრუნების თაობაზე; როდესაც თხოვნა არ დაუკმაყოფილეს, კათოლიკე მორწმუნეებმა ტაძრის საკურთხევლის მარჯვენა მხარე კათოლიკური ხატებითა და სავარდებით მორთეს, კათოლიკური სამლოცველო სივრცე მოაწყვეს და კათოლიკური წესით სისტემატურად აღავლენდნენ ლოცვებს. თუმცა ადგილობრივი კათოლიკე მოძღვარი, სოფლის მაცხოვრებელთა შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ასევე წმინდა საყდარისა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული დამოკიდებულების განსაზღვრით, ერიდებოდა კონფესიათშორისი უთანხმოების გამოწვევას, ამიტომ, ამ დიდსულოვანი პოზიციის გათვალისწინებით, ივლიტის ტაძარში არ ატარებდა მსახურებას. სამაგიეროდ, ტაძრის სიახლოვეს კათოლიკეებმა შეიძინეს სახლი, სადაც ადრე კათოლიკე მღვდელმსახური ცხოვრობდა, შეძლებისდაგვარად კეთილმოაწყვეს ღვთისმსახურებისათვის და ათწლეულებია, აქ სისტემატურად აღევლინება წმინდა წირვები. ამგვარად, თითქოს დამყარდა ერთგვარი სიმბოლური კავშირი ივლიტის ისტორიულ ტაძართან.

1991 წლიდან, როდესაც ივლიტის ტაძარი ახალ მფლობელს გადაეცა, დაიწყო გეგმაზომიერი სამუშაოები მისი კათოლიკური კვალის წასაშლელად. მაგალითად, 1999 წელს მოანგრიეს კათოლიკური საკურთხეველი, წაშალეს ამ საკურთხევლის საძირკველში მდებარე ადგილობრივი კათოლიკე მღვდლის საფლავის კვალი.

2021 წელს, როდესაც კოვიდპანდემიის გამო შეზღუდვები მოქმედებდა, ივლიტის ტაძარი სარეაბილიტაციო სამუშაობის გამო დაიკეტა; საფუძვლიანი რეკონსტრუქციის მომიზეზებით, ტაძრის კათოლიკური კვალი სავსებით გააქრეს და 2025 წელს, როდესაც ეკლესია მლოცველებისათვის გაიხსნა, კათოლიკეებისათვის დაიხურა, ამიტომ მოსახლეობაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სარემონტო სამუშაოები ტაძრიდან კათოლიკეების განდევნისათვის მოიმიზეზეს, თუმცა ეკლესიის აღდგენა დროული გახლდათ, მაგრამ ის, რაც ივლიტის ტაძარს გამოარჩევდა საქართველოს მრავალ ტაძართა შორის, და რაც ქრისტიანული ძმობის ნათელ მაგალითად წარმოგვიდგებოდა იმ სივრცის სახით, სადაც კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს, ცხადია, მორიგეობით შეეძლოთ ელოცათ, დაიკარგა. ამით კი გაჩნდა ბზარი სხვადასხვა აღმსარებლობის თანასოფლელთა შორის, რაც არ არის კარგი მაგალითი. ჩნდება კითხვა: თუ ევროპის სხვადასხვა ქალაქში ქართველ მართლმადიდებლებს კათოლიკური თუ პროტესტანტული სამრევლოები უთმობენ თავიანთ ტაძრებს და იქ მსახურება სამაგალითოდ და კეთილ ქრისტიანულ დამოკიდებულებად მიიჩნევა, სოფელ ივლიტას ისტორიულად კათოლიკურ ტაძარში, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში იქნა ჩამორთმეული, ივლიტელ კათოლიკეთა მიერ ღვთისადმი ლოცვების აღვლენა დაუშვებელ აქტად რატომ აღიქმება?

სულიერი შეხვედრები წეროვანში

ამირან წიკლაური

სააღდგომო მარხვის განმავლობაში სულიერი შეხვედრები წეროვანში ჩვენი ეკლესიის კეთილი და ლამაზი ტრადიციაა. აღდგომის დღესასწაულის სიხარულის მოლოდინში, საქართველოში არსებული ყველა საეკლესიო საკრებულოს მრევლს გვეძლევა შესაძლებლობა, სამი დღე განვმარტოვდეთ ამა სოფლის ამაოებისაგან, გავირინდოთ უფლის სიტყვის მოსმენაში, გააზრებასა და განცდაში. ჩვენი კეთილი მწყემსის, მამა ჯუზეპეს, დახმარებით გავეცანით უფრო სიღრმისეულად, ვიდრე ამას ზოგადი ცოდნა მოიცავს, ელია წინასწარმეტყველის პიროვნებას და მნიშვნელობას ბიბლიაში. მეუფის მიერ მომზადებული საინტერესო საკითხავებით, საუბრებით, დისკუსიებით, მედიტაციებით ჩვენი გონება მეტად განათლდა და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა, რაც სულიერ იარაღად დაგვრჩება სევდისა და უიმედობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ელია წინასწარმეტყველის ცოცხალი, ისტორიული და, ამასთანავე, მისტიკური ცხოვრება დიდი მაგალითის მიმცემია თითოეული ქრისტიანისათვის. იგი, როგორც მართალი კაცი, სრულიად დაიმედებულია შემოქმედზე და არ უშინდება არც მეფეს, არც წარმართ ქურუმებს, რომელთა სიმრავლე ოთხას ორმოცდაათს აღწევს, არც გზააბნეულ ისრაელის ერს, ბრბოდ ქცეულს. მისი შუამდგომლობა იხსნის ისრაელს შიმშილისა და სულიერი გახრწნისაგან, ვინაიდან ღმერთი, მისი ვედრების წყალობით, მოავლენს ნაყოფიერ წვიმას და, ამავდროულად, მთელი ერის წინაშე შეიწირავს მის მსხვერპლს, რითაც ამხელს წარმართთა და მათი კერპების უგუნურებას (1 მეფ. 18, 20-40; 3 მეფ. 18,41-46). წინასწარმეტყველის ასეთი დიდი კადნიერება უფლის მიმართ ნამდვილად გასაოცარია, მაგრამ მისი ადამიანური ბუნება არაა დაფარული ჩვენივე ნუგეშისათვის. ელია, რომელმაც ასეთი დიდი საქმები მოიმოქმედა უფლის ხელით, გაურბის დედოფლის მუქარას (3 მეფ. 19,1-8), თუმცა უფალი მას ადამიანურ სისუსტეში არ მიატოვებს, არამედ ანგელოზს გამოუგზავნის ნუგეშისმცემლად. ასევე, მისი მაგალითით, თვალნათლივ დავინახეთ, რომ უფალი ჩვენი სისუსტის გამო არ განგვკიცხავს, არამედ უძლურებაში გვაძლიერებს, როდესაც მას მივმართავთ გულწრფელად და გულმხურვალედ, როგორც მზრუნველ მამას.

გაოცება გამოიწვია ასევე ერთმა დეტალმა, რომელსაც მამა ჯუზეპემ ხაზი გაუსვა. ფრინველი, რომელსაც ელიასათვის პური და ხორცი მოჰქონდა, იყო *ყორანი*. სიტყვა ყორანი ძველ ებრაულად ნიშნავდა „უცხოს“. ეს ფრინველი, რომელიც უწმინდურად მიიჩნეოდა, მთავარი ნუგეში ხდება ელიასათვის უწვიმობისას. მეუფემ დაგვაფიქრა ამ ეპიზოდზე, თუ რამდენჯერ დაგვხმარებია სრულიად უცხო ადამიანი, ჩვენთვის „უწმინდური“ ან უცხოტომელი. ამით კი მოყვასის ცნების გაგება კიდევ ერთხელ განგვიახლა და გაგვიფართოვა.

სამი დღე, პარასკევი - ჯვრის გზა, შაბათი - მდუმარება და კვირა - აღდგომის სიხარული, ნათლად გადმოგვცემს განცდებს, რაც სუფევდა წეროვანის შეხვედრების სახლში, სახლში, საიდანაც სულიერად დაპურებულები დავუბრუნდით საერო ყოფას, სადაც, თუნდაც ოდნავ უფრო მეტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, ვაგრძელებთ ცხოვრებას.

გულითადი მადლობა და ღმერთის წყალობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც, უფლის ჩანაფიქრისამებრ, ამ დღეებს გვჩუქნიან.

ახალგაზრდა პაპები

ყოველწლიურად, ვნების პარასკევს, კათოლიკე ეკლესიაში აღესრულება ჯვრის თაყვანისცემის რიტუალი, როდესაც ტაძრის წინამძღვრები, წმინდა ჯვარცმის წინაშე იატაკზე გართხმულები, მდუმარებაში თაყვანს სცემენ იესოს, ღვთის ძეს. საკათედრო ტაძრებში ამ რიტუალს აღასრულებენ ეპარქიის მმართველები, ხოლო უმთავრეს ტაძარში, რომის წმ. პეტრეს ბაზილიკაში კი თავად რომის პაპები. თუმცა, პაპის ავადმყოფობის ან ფიზიკური სისუსტის გამო, ზოგჯერ ეს რიტუალი არ სრულდებოდა. მიმდინარე წელს, თითქმის სამი ათწლეულის შემდგომ, პაპმა ლეონ XIV-მ კვლავ აღადგინა ვნების პარასკევის დროს წმინდა ჯვრის თაყვანისცემა. თაყვანისცემის შემდეგ პაპი დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე, ენერგიულად წამოდგა და გააგრძელა ვნების პარასკევის მსახურება. ამ ფაქტს უმალვე მიაქცია ყურადღება მსოფლიო მედიამ და საგანგებოდ აღნიშნა პაპ ლეონის ფიზიკური მხნეობა. მრავალი მილიონი კათოლიკეს გასახარებლად, გამორჩეულად აღნიშნეს, რომ მან ჯვრის თაყვანისცემის რიტუალი კვლავ დააბრუნა ეკლესიაში. მართლაც, პაპ ლეონ XIV-ის წინამორბედი პაპების დროს ეს რიტუალი განსხვავებულად სრულდებოდა.

ლეონ XIV პაპად 69 წლის ასაკში აირჩიეს. პაპობის ორიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში ორას სამოცდაშვიდი სასულიერო პირი იქნა არჩეული რომის პონტიფექსად, რომელთა საშუალო ასაკი 62 წელი იყო. ასე რომ, პაპი ლეონ XIV არჩევის დროს საშუალო ასაკზე მეტის გახლდათ, თუმცა, მისი წინამორბედი პაპების ასაკთან შედარებით, მრავალი მიიჩნევს, რომ იგი მაინც ახალგაზრდაა. ეკლესიის სათავეში და, ასევე, მაღალ იერარქებად საზოგადოება უფრო მოწიფული ასაკის ადამიანებს აძლევს უპირატესობას, თუმცა, სინამდვილეში, მრავალი პაპი ყოფილა 60 წელზე ნაკლები ასაკის. მართალია, მე-20 და 21-ე საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს არასდროს უნახავს 58 წელზე ნაკლები ასაკის პაპი, მაგრამ ეს ყოველთვის ტრადიცია არ ყოფილა.

წმინდა პაპი იოანე პავლე II 1978 წელს აირჩიეს რომის პაპად. იგი, შედარებით ახალგაზრდა, 58 წლის ასაკში გახდა პონტიფექსი და გამოირჩევა ხანგრძლივი პონტიფიკობითა და თავისი 104 მოგზაურობით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თუმცა, სხვადასხვა დროს, ამავე ასაკში რომის პაპებად არჩეული იყვნენ: ბონიფაციუს IV, იოანე IX, ნიკოლოზ I, ლეონ V, ცელესტინე II და პაპი ლინუსი.

384 წელს, 50 წლის ასაკში, პაპად აირჩიეს **წმ. სირიციუსი**, სხვათა შორის, ის გახლავთ პირველი რომის ეპისკოპოსი, რომელიც პაპად იწოდებოდა. ასევე 50 წლის ასაკში, 575 წელს, რომის პაპად აირჩიეს **ბენედიქტე I.** მის შესახებ ვიცით, რომ ძირითადი ძალისხმევა ლანგობარდებთან ბრძოლას შეალია.

615 წელს, 45 წლის ასაკში, პაპად აირჩიეს **ადეოდატუს I**, ასევე 45 წლის ასაკში ფონტიფექსები გახდნენ: გრიგოლ VI, სილვესტერ III, კლიმენტი VII, ბენედიქტე III, სტეფანე V და ლეონ III.

პაპი ჰონორიუს I გახლდათ ერთადერთი პაპი, რომელიც 40 წლის ასაკში აირჩიეს პონტიფექსად, 625 წელს. 1009 წელს, 39 წლის ასაკ-

ში, პაპად აირჩიეს **სერგიუს IV**, ხოლო 1389 წელს - იმავე ასაკის პაპი **ბონიფაციუს IX**.

752 წელს, 38 წლის ასაკში, რომი პაპი გახდა **სტეფანე II**, სწორედ მას გადასცა ფრანკთა მეფემ პიპინ მოკლემ მიწები (პიპინის ნაბოძვარი), სადაც ჩამოყალიბდა რომის პაპების სამფლობელო - პაპის ოლქი და მან 1870 წლამდე იარსება. 1198 წელს, 38 წლის ასაკში, პაპი ხდება **ინოკენტი III**, თავისი ეპოქის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პიროვნება. სწორედ მისი პონტიფექსობის დროს განხორციელდა რამდენიმე ჯვაროსნული ლაშქრობა და დაფუძნდა წმ. ფრანცისკე ასიზელის საბერმონაზვნო ორდენი.

37 წლის ასაკში, 683 წელს, პონტიფექსი ხდება წმ. **სერგიუს I**, ცნობილი ღვთისმეტყველი, საეკლესიო რეფორმატორი, სწორედ მისი დამატებულია საღვთო ლიტურგიაში სიტყვები ,,კრავო ღვთისაო, ამღებელო ცოდვათაო, მიწყალენ ჩვენ". მის დროს გაჩნდა განსხვავებები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის. ასევე 37 წლის ასაკში პონტიფექსებად აირჩიეს: ვიგილიუსი, ლეონ X, სტეფანე IX (ან X) და გრიგოლ IV.

პაპი ვიქტორ II ერთადერთია ეკლესიის ისტორიაში, რომელიც 36 წლის ასაკში გახდა რომის პონტიფექსი. გებჰარდ ფონ დოლნშტაინ-ჰირშბერგი, ვიქტორ II-ის სახელით, კარდინალ გრიგოლ ჰილდებრანდის თხოვნით (მომავალი პაპი გრიგოლ VII), 1054 წელს გახდა პონტიფექსი, 1055 წელს კი რომში კარდინალებმა ოფიციალურად აკურთხეს პაპად. იგი რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის, ჰაირიჰ III-ის ნათესავი გახლდათ, უკვე 24 წლის ასაკში მომავალი პაპი აიხშტეტის ეპისკოპოსად დანიშნეს. პაპი ვიქტორ II გამოირჩეოდა თავისი პრინციპულობით, ბევრს იღვწოდა პაპის ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი იყო გრიგორიანული რეფორმების (ბრძოლა ინვესტიტურისათვის და სიმონიის აღმოფხვრა ეკლესიაში) ერთ-ერთი პირველი წინამორბედი.

პაპი თეოდორე I 642 წელს, 32 წლის ასაკში აირჩიეს, მისი საქმიანობა უკავშირდება ეკლესიაში ერეტიკოსი მონოთელიტების წინააღმდეგ ბრძოლას. 1012 წელს, ასევე 32 წლის ასაკში, რომის პონტიფესად აირჩიეს ბენედიქტე VIII. იგი ტუსკულუმის გრაფების ოჯახის წარმომადგენილი გახლდათ და, მის გარდა, ამ ოჯახის ხუთი წევრი გახდა რომის პაპი. **ბენედიქტე VIII** ბევრს იღვწოდა იტალიაში მშვიდობის დასამყარებლად, იყო კლუნიური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი, მის შესახებ წერდნენ: ,,... შუა საუკუნეების იმ მცირერიცხოვან პაპთაგან ერთ-ერთია, რომელიც, ერთდროულად, ძლევამოსილი იყო სამშობლოში და დიადი საზღვარგარეთ".

როჯერ ვან დერვეიდენი, „სერგიუსის სიზმარი"

მოამზადა ნუგზარ ბარდაველიძემ

ეკლესია და ღარიბები

105. ამ ათასწლეულის დასაწყისში გაბატონებული კულტურა გვაიძულებს ღარიბები ბედის ანაბარად დავტოვოთ, ყურადღებისა და დაფასების ღირსად არ მივიჩნიოთ. ენციკლიკაში ,,Fratelli tutti“ პაპი ფრანცისკე კეთილი სამარიელის იგავზე დაგვაფიქრებს (შდრ. ლუკა 10, 25-37), ამ საკითხის უფრო ღრმად გააზრების მიზნით. იგავში ვხედავთ, რომ გზაზე მყოფი დაჭრილი და მიტოვებული ადამიანის წინაშე გამვლელები სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენენ. მხოლოდ კეთილი სამარიელი ზრუნავს მასზე. აქ ისევ ისმის კითხვა, რომელიც თითოეული ჩვენგანისაგან ითხოვს განმარტებას: „ვისთან აიგივებ თავს?“ ეს მწვავე, პირდაპირი და გადამწყვეტი კითხვაა. რომელ მათგანს ჰგავხარ? უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ცდუნება, რომელიც სხვების მიმართ უგულებელყოფაში გამოიხატება, განსაკუთრებით, ყველაზე უმწეოთა მიმართ. ვაღიაროთ, რომ გავიზარდეთ, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორ დავეხმაროთ, ვიზრუნოთ და მხარში დავუდგეთ განვითარებულ საზოგადოებაში მცხოვრებ ყველაზე დაუცველ და მოწყვლად ადამიანებს. ჩვენ მივეჩვიეთ ამაზე თვალის დახუჭვას, გვერდის ავლასა და სიტუაციის უგულებელყოფას, სანამ ის ჩვენ თავად არ შეგვეხება“ (115).

106. და რარიგ გვახარებს იმის აღმოჩენა, რომ კეთილი სამარიელის სცენა დღესაც მეორდება. გავიხსენოთ დღევანდელი ვითარება: „როდესაც ვხვდები ადამიანს, რომელიც ღამეს სიცივეში, ღია ცის ქვეშ ათენებს, შეიძლება ვიფიქრო, რომ ეს უბედური ჩემთვის მოულოდნელი დაბრკოლებაა, უქნარა დამნაშავეა, ბარიერია ჩემს გზაზე, სინდისის ქენჯნაა, პრობლემაა, რომელიც პოლიტიკოსებმა უნდა გადაჭრან, ან იქნებ ნაგავია, რომელიც საჯარო სივრცეს აბინძურებს. ანდა, რწმენისა და კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე, ვაღიარო მასში მსგავსი ღირსების მქონე ადამიანი, მამის უსაზღვროდ საყვარელი ქმნილება, ღვთის ხატი, ქრისტეს მიერ გამოხსნილი მოძმე. ეს არის ქრისტიანობა! განა შეიძლება გავიგოთ სიწმინდე ყოველი ადამიანის ღირსების ამ ცოცხალი აღიარების გარეშე?“ (116). რა გააკეთა კეთილმა სამარიელმა?

107. ეს კითხვა აქტუალური ხდება, რადგან ის გვეხმარება ჩვენი საზოგადოებისა და ქრისტიანული თემების სერიოზული ნაკლოვანებების ამოცნობაში. ფაქტია, რომ გულგრილობის მრავალი ფორმა, რომელსაც დღეს ვაწყდებით, ფართოდ გავრცელებული ცხოვრების წესის ნიშანია, რომელიც სხვადასხვა, შესაძლოა, უფრო დახვეწილი გზებითაც კი ვლინდება. გარდა ამისა, რადგან ყურადღება მხოლოდ საკუთარ საჭიროებებზე გვაქვს გადატანილი, სხვისი ტანჯვის დანახვა გვაწუხებს, რადგან არ გვინდა მათი პრობლემების გამო დრო დავკარგოთ. ეს მიგვანიშნებს დასნეულებულ საზოგადოებაზე, რომელიც ცდილობს ტკივილს ზურგი შეაქციოს. სჯობს, ასე არ მოვიქცეთ და

კეთილი სამარიელის მაგალითისამებრ ვიმოქმედოთ“ (117). სახარებისეული იგავის ბოლო სიტყვებია: „წადი და შენც ასევე მოიქეცი“ (ლუკა 10,37); მცნება ქრისტიანის გულში დღენიადაგ უნდა ჟღერდეს.

108. რომის ეკლესიისათვის განსაკუთრებით რთულ ჟამს, როდესაც იმპერიული ინსტიტუტები ბარბაროსთა წნეხის ქვეშ ინგრეოდნენ, წმიდა პაპი გრიგორი დიდი ასე აფრთხილებდა მორწმუნეებს: „ყოველდღე შეგვიძლია ვიპოვოთ ლაზარე, თუკი მოვძებნით, და ყოველდღე ვხვდებით მას, თუნდაც არ ვცდილობდეთ მის მოძებნას. ღარიბები მოდიან ჩვენთან შეუფერებელ დროსაც კი და თხოვნით მოგვმართავენ ისინი, რომლებიც ოდესღაც ჩვენთვის იშუამდგომლებენ“ (...) მაშ, არ დავკარგოთ გულმოწყალების გამოვლინების შესაძლებლობა და არ უგულებელვყოთ იმ საშუალებების გამოყენება, რომლის განკარგვაც შეგვიძლია“ (118). იგი გაბედულად შეეწინააღმდეგა ღარიბების შესახებ გავრცელებულ ცრურწმენას, როგორიც იყო მოსაზრება, რომ ისინი თავად არიან დამნაშავენი საკუთარ უბედურებაში: „როდესაც ხედავთ ღარიბებს, რომლებიც რაიმე საძრახის საქციელს სჩადიან, არ განიკითხოთ და არ გამოუცხადოთ უნდობლობა, რადგანაც სიღარიბის ცეცხლი, შესაძლოა, მათ ცოდვებისაგან წმენდდეს, თუნდაც უმნიშვნელოსაგან, რომელსაც ისინი სჩადიან“. ხშირად კეთილდღეობა ისე გვაბრმავებს, ვფიქრობთ, რომ ბედნიერების მიღწევა მხოლოდ სხვების გარეშე შეგვიძლია. ამ საკითხში ღარიბები შეიძლება გახდნენ ჩვენი უხილავი მასწავლებლები, რომლებიც ჩვენს სიამაყეს სათანადო თავმდაბლობას უბრუნებენ.

109. თუკი მართალია, რომ ღარიბებს ისინი შეეწევიან, რომლებსაც ეკონომიკური საშუალებები გააჩნიათ, ასევე შეგვიძლია თავდაჯერებით ვთქვათ საპირისპიროც. ეს განსაცვიფრებელი გამოცდილებაა, რასაც ადასტურებს ქრისტიანული ტრადიცია, და რაც ჩვენი ცხოვრებისათვის ნამდვილ გარდატეხად იქცევა, როდესაც ვხვდებით, რომ სწორედ ღარიბები მოგვაქცევენ ქრისტიანებად. რა გზით? თავიანთი მდუმარებით ისინი ჩვენივე სისუსტის წინაშე გვაყენებენ. მაგალითად, მოხუცები, უსუსური სხეულით, გვახსენებენ ჩვენს დაუცველობას, მაშინაც კი, თუ ვცდილობთ მის დამალვას კეთილდღეობის ან გარეგნობის მიღმა. ამასთანავე, ისინი ჩვენს სიმყიფესა და ერთი შეხედვით დაცული და უსაფრთხო ცხოვრების სიცარიელეზე მიგვანიშნებენ. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ წმიდა გრიგორი დიდის სიტყვები: „მაშ, არავინ მიიჩნიოს თავი უსაფრთხოდ, როდესაც იტყვის: ,,მე სხვას არ ვძარცვავ, მხოლოდ ჩემთვის სამართლიანად ბოძებულ სიკეთეს ვიყენებ. მდიდარი იმიტომ კი არ დაისაჯა, რომ სხვების სიკეთის მითვისება სურდა, არამედ იმიტომ რომ უამრავი სიმდიდრის მიღების შემდეგაც კი არ ზრუნავდა საკუთარ თავზე. ჯოჯოხეთით მისი დასჯა იმით იყო გამოწვეული, რომ ლხენის ჟამს მან შიშის გრძნობა დაკარგა, მისთვის ბოძებულ წყალობათა გამო ამპარტავანი გახდა და სიბრალულის არანაირი გრძნობა აღარ გააჩნდა“.

110. ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, ღარიბების საკითხი ჩვენი რწმენის არსთან გვაბრუნებს. ღარიბთა სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, ანუ მათდამი ეკლესიის სიყვარული, როგორც წმიდა იოანე პავლე II გვასწავლიდა, „განმსაზღვრელია და მის უცვლელ ტრადიციას მიეკუთვნება, რაც მას აიძულებს, მიმართოს სამყაროს, სადაც, ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად, სიღარიბემ შესაძლებელია გიგანტურ მასშტაბებს მიაღწიოს“ (121). სინამდვილეში ქრისტიანებისათვის ღარიბები წარმოადგენენ არა სოციოლოგიურ კატეგორიას, არამედ თავად ქრისტეს ხორცს. მეტიც, საკმარისი არაა ღვთის განკაცების მოძღვრების ზოგადად ჩამოყალიბება; იმისთვის, რომ ნამდვილად შევიდეთ ამ საიდუმლოში, აუცილებელია დავაზუსტოთ, რომ უფალი

განკაცდა მათთვის, ვინც მშიერ-მწყურვალია, ვინც სნეულია, ვინც პატიმარია. „ღარიბი ეკლესია ღარიბებისათვის ქრისტეს ხორცისაკენ სწრაფვით იბადება. ხოლო თუ ქრისტეს ხორცს ვესწრაფვით, შეგვიძლია გავიგოთ, თუ რას ნიშნავს უფლის სიღარიბე. და ეს მარტივი როდია “ (122).

111. ეკლესიის გული, თავისი ბუნებით, სოლიდარულია მათ მიმართ, ვინც ღარიბი, გარიყული და მარგინალია, ვინც საზოგადოების „ნარჩენად“ მიიჩნევა. ღარიბები ეკლესიის შუაგულში იმყოფებიან, რამეთუ სწორედ ,,ღარიბად ქცეული, მუდამ ღარიბთა და გარიყულთა შემწე ქრისტეს რწმენიდან მომდინარეობს ზრუნვა საზოგადოების ყველაზე მიტოვებული ადამიანების ყოველმხრივი განვითარებისათვის“ (123). ყოველი მორწმუნის გულში ცოცხლობს მოთხოვნა, „შეისმინოს ძახილი, რომელიც დამხსნელი წყალობის ქმედებიდან მომდინარეობს თითოეულ ჩვენგანში, რათა ეს არ იყოს მხოლოდ ზოგიერთისათვის განკუთვნილი მისია“ (124).

112. ზოგჯერ ზოგიერთ ქრისტიანულ მოძრაობასა თუ ჯგუფში საზოგადოების საერთო სიკეთისათვის თავდადების ნაკლებობა, ან სულაც მისი არარსებობა შეინიშნება, განსაკუთრებით, ყველაზე სუსტებისა და დაუცველების დაცვისა და წახალისების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ რელიგია, მეტადრე ქრისტიანული, მხოლოდ პირადი სივრცით არ უნდა შემოისაზღვროს, თითქოს მორწმუნეებმა გულთან არ უნდა მიიტანონ ის პრობლემები, რაც სამოქალაქო საზოგადოებას ეხება და მოვლენები, რომლის ინტერესის საგანს მოქალაქეები წარმოადგენენ (125).

113. სინამდვილეში, „ნებისმიერი საეკლესიო თემი, რომელიც ცდილობს გულდამშვიდებით ყოფნას, გონივრული და ეფექტური თანამშრომლობის გარეშე, რათა ღარიბებმა შეძლონ ღირსეულად ცხოვრება და საერთო ინტეგრაცია, დაშლის საფრთხის წინაშეა, თუნდაც სოციალურ საკითხებზე საუბრობდეს, ან მთავრობის კრიტიკით იყოს დაკავებული. ის იოლად შეიძლება ჩაიძიროს ამქვეყნიურ სულიერებაში, დაიფაროს რელიგიური პრაქტიკით, უნაყოფო შეხვედრებით, ან ლიტონი სიტყვებით“.

114. ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ დახმარებასა და სამართლიანობისადმი აუცილებელ ერთგულებაზე. მორწმუნეებმა უნდა გაითვალისწინონ ღარიბების მიმართ კიდევ ერთი შეუსაბამო ფორმა. სინამდვილეში „ყველაზე დიდი დისკრიმინაცია, რასაც ღარიბები განიცდიან, არის სულიერი ყურადღების ნაკლებობა (...). ღარიბთა სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, უპირველესად, უნდა გადმოიცეს გამორჩეული და უპირატესი რელიგიური ყურადღებით“. თუმცა ასეთი გამორჩეული სულიერი ყურადღება ღარიბთა მიმართ ეჭვქვეშ დგება ზოგიერთი არასწორი შეხედულების გამო, მათ შორის, ქრისტიანთა მხრიდანაც, რადგან ღარიბების გარეშე თავს უფრო უკეთესად ვგრძნობთ. ვიღაც ისევ ამბობს: „ჩვენი მოვალეობაა ვილოცოთ და ვასწავლოთ ჭეშმარიტი მოძღვრება“. თუმცა ამ რელიგიური ასპექტის ყოველმხრივი ხელშეწყობისაგან გამოყოფით, ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მთავრობამ უნდა იზრუნოს მათზე, ანდა უმჯობესია დავტოვოთ ისინი სიღარიბეში და შრომა ისწავლონ. ზოგჯერ კი, ფსევდოსამეცნიერო კრიტერიუმებს მიმართავენ იმის დასამტკიცებლად, რომ საბაზრო თავისუფლება თავისთავად გამოიწვევს სიღარიბის პრობლემის მოგვარებას. ანდა ზოგჯერ არჩევანი კეთდება ე.წ. ელიტის სამწყსო მზრუნველობაზე, იმ არგუმენტით, რომ ღარიბებთან დროის დაკარგვის ნაცვლად, უკეთესია ვზრუნავდეთ მდიდრებზე, გავლენიანებსა და პროფესიონალებზე, რათა მათი მეშვეობით უფრო მეტად შედეგიანი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. მარტივია ამ მოსაზრებების მიღმა ამქვეყნიური აზროვნების დანახვა: ისინი გვაიძულებენ, სინამდვილეს ზედაპირული კრიტერიუმე-

ბით შევხედოთ, რომელიც მოკლებულია ნებისმიერ ზებუნებრივ სინათლეს, უპირატესობა მივანიჭოთ ნაცნობებს, რომლებიც გვაიმედებენ და ჩვენთვის მისაღებ უპირატესობებს ეძებენ.

115. დასასრულს, კარგია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მოწყალებაზეც, რომელიც დღეს კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს, ხშირად მორწმუნეებშიც კი. დღეს მას არა მხოლოდ იშვიათად მიმართავენ, არამედ ზოგჯერ ეზიზღებათ კიდეც. ერთი მხრივ, ვაცხადებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება ღარიბი ადამიანისათვის კარგი სამსახურის პოვნაა, რათა მან, საკუთარი უნარების განვითარებით და პირადი ძალისხმევის გაღებით, შეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ფაქტია, რომ „უმუშევრობა ბევრად მეტია, ვიდრე შემოსავლის წყაროს დაკარგვა. ცხადია, ესეც სამუშაოს ნაწილია, მაგრამ ბევრად მეტია. შრომა გვაკეთილშობილებს, როგორც პიროვნებას, ჩვენი ჰუმანურობა ძლიერდება, ახალგაზრდები მხოლოდ შრომით ხდებიან ზრდასრულნი. ეკლესიის სოციალური სწავლება ყოველთვის უყურებდა ადამიანის შრომას, როგორც მონაწილეობას შექმნის პროცესში, რომელიც ყოველდღე გრძელდება, მშომელი ადამიანების ხელების, გონებისა და გულის წყალობით“ (128). მეორე მხრივ, თუკი ეს კონკრეტული შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არსებობს, ადამიანი ბედის ანაბარად არ უნდა მივატოვოთ, იმის გარეშე, რაც ყოვლად აუცილებელია ღირსეული ცხოვრებისათვის. ამდენად, მოწყალება აუცილებელია სხვებთან ურთიერთობის, შეხვედრისა და მათი მდგომარეობის გათავისების მიზნით.

116. ვისაც ნამდვილად უყვარს, მისთვის აშკარაა, რომ მოწყალება პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს კომპეტენტურ ორგანოებს, არც ინსტიტუტების ორგანიზაციულ ჩართულობას გამორიცხავს და არც სამართლიანობისათვის კანონიერ ბრძოლას ანაცვლებს. მოწყალება გვიწვევს, გავჩერდეთ ღარიბის პირისპირ, შევეხოთ მას და ჩვენი წილი რამ გავუზიაროთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოწყალება, თუნდაც მცირედი, თანაგრძნობას ნერგავს საზოგადოებაში, სადაც ყველა მხოლოდ საკუთარ ინტერესზე ფიქრობს. იგავთა წიგნში ნათქვამია: „კურთხეული იქნება გულმოწყალე, რადგან ღარიბს თავისი პურიდან გაიკითხავს“ (22,9).

117. როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში მოწყალების შესახებ მოცემულია ნამდვილი საგალობლები: „და მაინც ღარიბის მიმართ სულგრძელი იყავი და მოწყალებას ნუ დაუგვიანებ. (...) რის გაცემასაც სამოწყალოდ აპირებ, შენს საგანძურში დადე და შეგეწევა უბედობისას“ (ზირ. 29, 8.12). ამ სწავლებას იესო აგრძელებს: „გაყიდეთ თქვენი ქონება და გაიღეთ მოწყალება. დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ ულეველი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეპარება და ჩრჩილი ვერ ავნებს“ (ლუკა 12,33).

118. იოანე ოქროპირს მიეწერება მოწყალების შესახებ ეს გამონათქვამი: „მოწყალება ლოცვის ფრთაა. თუკი შენს ლოცვას ფრთებს არ შეასხამ, ფრენა გაუჭირდება“ (129), ხოლო წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი ამ სიტყვებით ასრულებს თავის ცნობილ ლოცვას: „თუ ყურს დამიგდებთ, ქრისტეს მსახურნო, ძმანო და თანამოსაყრდენო, სანამ დროა, ვეახლოთ ქრისტეს, განვკურნოთ ქრისტე, დავაპუროთ ქრისტე, შევმოსოთ ქრისტე, მივიღოთ ქრისტე, პატივი მივაგოთ ქრისტეს: არა ოდენ სუფრით, როგორც ზოგიერთები, არა ოდენ ნელსაცხებლებით, როგორც მარიამი; არა ოდენ სამარხით, როგორც იოსებ არიმათელი; არა ოდენ დაკრძალვის წესებით, როგორც ნიკოდემოსი, რომელსაც სანახევროდ უყვარდა ქრისტე; არა ოდენ ოქროთი, საკმეველითა და მურით, როგორც მოგვები; არამედ, რადგანაც უფალს წყალობა სურს და არა მსხვერპლი (...), მივუძღვნათ იგი ღარიბებს, რათა ოდეს ამ სამყაროს განვეშორებით, მიგვიღონ მარადიულ ტაძრებში“ (130).

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ
დასასრული, დასაწყისი ,,საბა“ #4 (364)

ათი შეკითხვა საიდუმლოთა და მადლის შესახებ

3. რამდენგვარია მადლი?

მადლი ორგვარია: არსებული და განმწმედი.

არსებული მადლი ღმრთისაგან მინიჭებული ზებუნებრივი დახმარება ან თანადგომაა. არსებული მადლი ორ საქმეს აკეთებს: პირველი — აცნობს გონებას განსხვავებას სიკეთესა და ბოროტებას შორის; მეორე — აქეზებს ნებას მართებულ და სწორ საქმეთა ჩასადენად.

განმწმედი მადლისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანმა, შესაძლოა, დაკარგოს, ადამიანს ყოველთვის ეძლევა არსებული მადლი, რომელიც სულს ისევ ღმრთისაკენ უბიძგებს. ხშირად ეს ბიძგი გამომჟღავნდება მსუბუქი შთაგონების, ნათელი აზრის ან კეთილი სურვილის მეშვეობით. თუმცა სული, რომელიც მადლის მდგომარეობაშია (იგულისხმება ადამიანი, რომელიც შეგნებულად არ იმყოფება მომაკვდინებელ ცოდვაში), უფრო მეტად არის მიდრეკილი, აღიქვას არსებული მადლის მოწოდებანი, ხოლო შემდგომ დადებითად უპასუხოს მათ. ცდუნებისას, ტანჯვისას, ავადმყოფობისას, არსებული მადლი ეხმარება ადამიანს გამძლეობის შესანარჩუნებლად.

ასევე, არსებულ მადლს აქვს სამკურნალო უნარი, რადგან ის ხელს უწყობს ცოდვისაგან სულის განკურნებას და ეხმარება ადამიანს, რათა მან დაიცვას ბუნებრივი ზნეობრივი კანონი.

განმწმედი მადლი ადამიანს ანიჭებს სიწმიდეს, ხდის მას წმიდად, რასაც ადამიანის სულში ამკვიდრებს წმიდა სამება, ანუ სამი ღმრთაებრივი პირი — მამა, ძე და სული წმიდა — და რაც ნათლობის საიდუმლოთი მიიღება. ადამიანის ჩანთქმით წყალში ან მის თავზე წყლის დასხმით და, ამავდროულად, სამების სახელის წარმოთქმით (,,განათლავ შენ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“), ადამიანი გამოსყიდულია ქრისტეს სისხლით, რომელიც ჯვარზე დაიღვარა.

,,განმწმედი მადლი ჩვეული ძღვენია, მყარი და ზებუნებრივი შესაძლებლობაა, რომელიც სრულყოფს თავად სულს, რათა მისცეს მას საშუალება, იცხოვროს ღმერთთან, იმოქმედოს მისი სიყვარულის მეშვეობით. ეს მადლი მუდმივი შესაძლებლობაა ცხოვრებისა და ქმედებისათვის, ღმრთის ნების შესაბამისად“ (კათოლიკე ეკლესიის კათექიზმო, მუხლი 2000). ამ მადლის მეშვეობით, ქრისტიანი ადამიანი მონაწილეობს ღმრთაებრივ ცხოვრებაში; სწორედ ამიტომ უწოდებენ მონათლულებს ღმრთის შვილობილებს.

განმწმედმა მადლმა შეიძლება იმატოს კეთილი საქმეებით, ლოცვით, სათნოებათა ხორცშესხმით



და საიდუმლოთა შესაბამისი მიღებით. განმწმედი მადლის უმთავრესი გამოვლინებაა სათნოებათა განხორციელება და სული წმიდის შვიდი ნიჭი: სიბრძნე, გონიერება, რჩევა, სიმტკიცე, შემეცნება, ღმრთისმოსაობა და ღმრთისმოშიშობა, მათი შესაბამისი თორმეტი ნაყოფით: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, სიკეთე, მოწყალება, სულგრძელობა, თავმდაბლობა, ერთგულება, მოკრძალება, თავშეკავება და უმანკოება.

პირიქით, განმწმედი მადლი შეიძლება დაიკარგოს მომაკვდინებელი ცოდვის გამო. მომაკვდინებელი ცოდვა არის ცუდი აზრი, სიტყვა ან ქმედება, რომელიც კლავს სულს. ცოდვა რომ მომაკვდინებელი იყოს, ამისათვის უნდა არსებობდეს სამი წინაპირობა: პირველი, ის უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ აზრი, სიტყვა ან ქმედება უნდა იყოს მეტად არასწორი; მეორე, ცოდვილმა უნდა იცოდეს (ანუ მას სრულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული), რომ ცოდვა მნიშვნელოვანია; დაბოლოს, ცოდვილი უნდა იყოს განზრახულად თანახმა, ჩაიდინოს ცოდვა, საკუთარი თავისუფალი არჩევანით. ამ შემთხვევისას, როცა სამივე ეს წინაპირობა აღსრულდა, მომაკვდინებელი ცოდვა ნამდვილადაა ჩადენილი. თუ ადამიანი მოკვდება მაშინ, როცა მის სულში მომაკვდინებელი ცოდვა იმყოფება, ის კარგავს მარადიულ სიცოცხლეს.

მომაკვდინებელი ცოდვა კლავს სულში მადლის სიცოცხლეს. ამ სიცოცხლის აღდგენა ძალუძს ისევ მხოლოდ მადლს. მონანიების საიდუმლოს მეშვეობით, ღმრთის მოწყალება, სიყვარული და თანაგრძნობა კურნავს სულს, რის შედეგად აღდგება განმწმედი მადლი.

შეადგინა მერაბ ღაღანიძემ



წმიდა ერი, მაგრამ, ამავდროულად, ცოდვილთა ერი

მამა პიერ დიუმულენი

ისრაელის ხალხის ისტორია გამოსვლის შემდეგ გრძელდება რიცხვთა წიგნში. გამოსვლის წიგნის თანახმად, მხოლოდ 50 დღე აშორებს მეწამული ზღვის გადალახვას (პასექი) და სინაის მთაზე დადებულ აღთქმას (ორმოცდაათობა). ეს დღესასწაულები აღსრულდა იესოში: პასექის ჟამს იესო აღარ გადაკვეთს ზღვას, არამედ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავა, ხოლო ორმოცდაათობის დროს მოხდება სულთმოფენობა და რჯულის ძღვენს ჩაანაცვლებს სულიწმიდის ძღვენი.

ისრაელი განიხილება როგორც წმიდა ერი, მაგრამ, ამავდროულად, ცოდვილთა ერი. ცეცხლისა და ღრუბლის სვეტის მეშვეობით ღმერთმა გაუცხადა თავის ერს, რომ მუდამ იმყოფება მათთან: „*დაფარა ღრუბელმა მოწმობის კარავი, და საღამოდან განთიადამდე ცეცხლივით ჩანდა სავანის თავზე. ასე იყო მუდამ: ღრუბელი ფარავდა მას დღისით და ცეცხლივით ჩანდა ღამით კარავზე. და როცა ღრუბელი კარავს ასცილდებოდა, მაშინ აიყრებოდნენ გზად ისრაელის ძენი. და იმ ადგილზე, სადაც ჩერდებოდა ღრუბელი, იქ ბანაკდებოდნენ ისრაელის ძენი*“ (რიცხ. 9, 15-17). მაგრამ რიცხვთა წიგნში გამოსვლაზე პესიმისტური შეხედულებაა წარმოდგენილი, და არა უმიზეზოდ. დრტვინვა, გზის გაგრძელებაზე უარის თქმა, წარსულისკენ მიმართული მზერა - დიდი ცოდვაა. ღმრთის რისხვა იზრდება, ღმერთი თავის ძლიერებას სასწაულებში ავლენს. თაყვანისცემა ღმრთის რისხვის დაცხრობის ერთადერთი საშუალებაა. სინაის შემდეგ - გზას სწრაფად გადიან, შემდგომში ხალხი დახეტიალობს, გზა კი სასჯელად იქცევა - ასე გაატარეს 38 წელი კადეშში. მარშრუტი ცვალებადია, ხშირად არათანამიმდევრულად და ალოგიკურად გვეჩვენება, დროდადრო უკუმიმართულებით მიდიან (იხ. რიცხ. 14, 25).

წიგნის სტრუქტურა

წიგნის სახელწოდებაა „რიცხვნი“ ან „რიცხვთა“, რადგან პირველ თავებში მოცემულია ისრაელიანთა აღრიცხვა გამგზავრებამდე. წიგნი შეიძლება ოთხ

ნაწილად დაიყოს, რომლებიც მოგზაურობის ეტაპებს შეესაბამება:

1. სინაის მთასთან, გამგზავრებისთვის მზადება (თავები 1-9)

2. სინაიდან კადეშის ოაზისამდე, სირთულეებით აღსავსე გადასვლა (თავები 10-19)

3. კადეშიდან მოაბამდე (იორდანის ნაპირებთან): დარჩენისა და დასახლების ცდუნება (თავები 20-25)

4. მოაბი, ახალი კანონები და ტრანსიორდანიის დაპყრობა (თავები 26-36)

ხალხის შვიდი დრტვინვა და შვიდი ცოდვა. გამოსვლის წიგნში მთავარი იყო ღმრთის ძალისა და გამარჯვების განდიდება, ხოლო რიცხვთა წიგნში ხაზგასმულია ხალხის აჯანყებები, უმადურობა და შიში. უკან მოხედვის ცდუნება ღვთის რისხვას იწვევს და ხალხი ისჯება. შემდეგ მოსე ღმერთთან შუამდგომლობს: თაყვანისცემა და ლოცვა ღმრთის რისხვის ჩასახშობად ერთადერთი გზაა.

1. მწყერები (თ.11) - მანკიერება: ნაყროვანება, გაუმაძღრობა; სასჯელი: სასიკვდილო დისპეფსია; ხსნა: სულის ძღვენი.

2. მირიამისა და აარონის ამბოხი (თ.12) - მანკიერება: ეჭვიანობა, შური; სასჯელი: მირიამის კეთრი, სირცხვილის 7 დღე; ხსნა: განკურნება.

3. ხალხის დრტვინვა (თ.14) - მანკიერება: შიში, სიზარმაცე; სასჯელი: აღთქმულ მიწაზე შესვლის გადადება, 40-წლიანი ხეტიალი უდაბნოში; ხსნა: თაობა უნდა შეიცვალოს.

4. კორახის, დათანისა და აბირამის ამბოხება (თ.16) - მანკიერება: ამპარტავნება, სიამაყე; სასჯელი: მიწამ დააღო პირი და შთანთქა ისინი; ხალხში მუსვრა დაიწყო; ხსნა: აარონის მღვდლობა, შენდობა.

5. მერიბას წყლები (თ. 20) - მანკიერება: უ ნ - დობლობა; სასჯელი: ვერ შევლენ მოსე და აარონი აღთქმულ ქვეყანაში; ხსნა: აარონის სიკვდილი, მისი ძის ელეაზარის მღვდლობა.

6. შხამიანი გველები (თ.21) - მანკიერება: სულმოკლეობა, სიხარბე; სასჯელი: შხამიანი გველები; ხსნა: დროშაზე დამაგრებული სპილენძის გველი.

7. ისრაელი მიეტმასნა ბაყალ-ფეღორს (თ. 25) - მანკიერება: მრუშობა; სასჯელი: დამნაშავეთა სიკვდილი; ხსნა: ფინხასის, აარონ მღვდლის ძის, ელეაზარის ძემ დააცხრო რისხვა - გამოსყიდვის მსხვერპლი.

ბილყამის (ბალაამის) ამბავი და მესიანური წინასწარმეტყველება (თავები 22-24). ღმერთმა აიძულა ბილყამი, წარმართი წინასწარმეტყველი, რომელიც მოაბის მეფემ ისრაელის ხალხის დასაწყევლად მოიხმო, ისრაელიანთა დალოცვა. ანგელოზმა წინასწარმეტყველს გზა გადაუღობა, მაგრამ მხოლოდ მისმა ვირმა იხილა უფლის ანგელოზი და გადაუხვია გზიდან, ხოლო ბილყამმა ცემა დაუწყო ვირს. მესამედ რომ სცემა მას, ვირი ალაპარაკდა! მხოლოდ ამის შემდეგ აუხილა უფალმა თვალები წინასწარმეტყველს. ბილყამმა ოთხგზის აკურთხა ისრაელის ხალხი. ბოლო ორი კურთხევა მიიჩნევა მესიის მოსვლის გაცხადებად. *„მას ვხედავ, მაგრამ არა ახლა, მას ვუყურებ, მაგრამ არა ახლოდან; ამობრწყინდება ვარსკლავი იაკობისგან, და აღიმართება კვერთხი ისრაელისგან...“* (რიცხ. 24, 17). ეს სიტყვები გვიცხადებენ იესო ქრისტეს, რომლის შესახებ ნათქვამია აპოკალიფსის წიგნში: *„გაიმარჯვა ლომმა იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა“* (გამოცხ. 5,5), *„ცისკრის კაშკაშა ვარსკლავი“* (გამოცხ. 22,16).

სამღვდელო კურთხევა (რიცხ. 6, 23-27) ყველა კურთხევის მაგალითია: *„გაკურთხოს შენ უფალმა და დაგიცვას შენ!“ „მოგაფინოს უფალმა ნათელი თავისი პირისა და შეგიწყალოს შენ!“ „მოაქციოს უფალმა თავისი პირი შენს მიმართ და მოგცეს შენ მშვიდობა!“*

ღმრთის ერი მომთაბარე ხალხია, ღმერთი უძღვება მათ, გზაში მყოფთ. სწორედ ამიტომაც ნათქვამია: *,,სიტყვა... დაემკვიდრა ჩვენს შორის“* (იოან. 1, 14), რაც ნიშნავს, რომ მან ჩვენ შორის კარავი დადგა (eskenosen). ხალხი თანდათანობით ერად ყალიბდება და სტრუქტურას იძენს, როცა მათი ღმერთი მათ შორის მკვიდრობს, სამღვდელოება თავისი ერის წინამძღოლი ხდება, ეკლესია კი დღეს მოძრაობაში მყოფი ეს ხალხია.

ერიკ ვარდენი: „აღსდგები და იცოცხლებ!“

როდესაც პაპი ლეონ XIV ფიქრობდა, თუ ვის შეეძლო გაძღოლოდა წელს დიდმარხვის სულიერ წრთვნებს რომის კურიაში, როგორც ეს ყოველწლიურად ხდება, ნორვეგიელ კათოლიკე ეპისკოპოს ერიკ ვარდენზე შეაჩერა ყურადღება, ყოფილ ათეისტზე, ყოფილ აგნოსტიკოსზე, რომელმაც ღმერთი არა ეკლესიაში, არამედ სილამაზის მეშვეობით აღმოაჩინა.

ერიკ ვარდენი 1974 წელს დაიბადა ნორვეგიაში, ქალაქ სარპსბორგში. იგი ორი თვის ასაკში მონათლეს ლუთერულ ეკლესიაში. მშობლები პიეტისტურ-პროტესტანტულ ტრადიციას მისდევდნენ, საბოლოოდ კი აგნოსტიკოსები გახდნენ. „ჩემს ბავშვობაში რელიგიურობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პატივისცემით ვეპყრობოდი, თუმცა იშვიათად ვიყენებდი პრაქტიკაში, რადგან ღრმად სეკულარულ გარემოში გავიზარდე“, - იხსენებს ერიკი. სწორედ ლიტერატურაში აღმოაჩენს იგი ქრისტიანობის სიხარულს. „ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი შემოქმედი იყო გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე, „ზიდჰარტას“ , „ნარცისი და გოლდმუნდის“ ავტორი, ასევე, მწერალი ქალი კარენ ბლიქსენი, „აფრიკისა“ და „ბაბეტის ნადიმის“ ავტორი, რომელიც თავის მრავალ ნაწარმოებში, გარკვეულწილად, საკრალურ, კათოლიკურ და მისტიკურ თემას ავითარებს“. „თავდაუზოგავად ვეძებდი ცხოვრების აზრს, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდობისათვის დამახასიათებელ აგრესიულ ათეიზმში ვიყავი ჩაფლული“.

იმ საღამოს, როდესაც ღმერთს შეხვდა, სახლში მარტო იმყოფებოდა და ერიკმა გუსტავ მალერის მეორე სიმფონიის, „აღდგომის“, მოსმენა გადაწყვიტა. „მუსიკა ჩემთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იყო, თითქმის მშობლიური ენასავით“, - აღნიშნავს იგი. „ჩემი დის მეგობარმა მირჩია, მომესმინა ეს განსაკუთრებული სიმფონია, რომლის დასკვნითი ნაწილი პირველყოფილი ქაოსის გამოძახილით იწყება და თანდათანობით რიტმი მკვიდრდება“. „ამაოდ არ შობილხარ“, „ამაოდ არ გიცხოვრია და გიტანჯია“, „აღსდგები და იცოცხლებ“ - სიმფონიაში გუნდის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მოზარდისათვის მეხის გავარდნასავით გაისმა. თითქოს ჭექა-ქუხილმა სიბნელე გააპო და თვალისმომჭრელი სინათლე დადგა. „თითქოს ჩემმა გულმა, მოულოდნელად, ლამის ინსტინქტურად, ირწმუნა ღმერთის არსებობა და მივხვდი, რომ ჩემ შიგნით, რაღაცას ისეთს ვატარებდი, რაც მე აღმემატებოდა“, - იხსენებს ის. „როდესაც მუსიკა დასრულდა, გაქვავებული ვიდექი და ვფიქრობდი: „საინტერესოა, ხვალამდე გაივლის თუ გამყვება ეს შეგრძნება“. მეორე დღეს ეს შეგრძნება დარჩა და მასთან ერთად ღია ჭრილობაც. ,,ასე დავიწყე ძიება“.

პირველი ეტაპი ატლანტიკური კოლეჯია, პრესტიჟული საშუალო სკოლა სამხრეთ უელსში, სადაც ერიკი პირველად მიხვდება, რომ ღიად შეუძლია რელიგიაზე საუბარი, რადგან მისი ზოგიერთი თანაკლასელი მორწმუნეა. ყოველ კვირას ანგლიკანურ ეკლესიაში დადის. აღმოაჩენს, რომ ქრისტიანული მონასტრები, რომელთა შესახებაც ჰერმან ჰესეს რომანებში წაუკითხავს, დღესაც არსებობს. მაშინ გადაწყვეტს, რომ ერთი კვირით კალდის კუნძულზე მდებარე ტრაპისტების ორდენის სააბატოში განმარტოვდეს. ამით საკუთარ თავს უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრა: როგორც თავად განმარტავს, „იქ აღმოვაჩინე ცხოვრების წესი, რომელიც ჩემს მოწოდებას შეესაბამებოდა და გადავწყვიტე კათოლიკე გავმხდარიყავი“.

კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც თეოლოგიის ხარისხის მისაღებად სწავლობდა, ერიკი კათოლიკე ეკლესიას შეუერთდა. მაშინ როცა პედაგოგიურ კვლევით მოღვაწეობას აგრძელებ-

და, კემბრიჯის წმიდა იოანეს კოლეჯიდან არცთუ ისე შორს, სენტ-ბერნარდის მთაზე მდებარე სააბატოში, მან გადაწყვიტა, რომ თავის მოწოდებაზე დაფიქრებულიყო და 2002 წელს მონასტერში შევიდა, როგორც მორჩილი. ამ პერიოდის დასრულების შემდეგ, მან იქ დარჩენა არჩია და უნივერსიტეტის კარიერა მიატოვა.

მას შემდეგ, რაც მან რომში, პაპის აღმოსავლურ ინსტიტუტში ლიცენზია მიიღო და ავენტინის ბორცვზე მდებარე სანტ-ანსელმოს პაპის უნივერსიტეტში ასწავლიდა მონასტრულ თეოლოგიას, სირიულ ენასა და გრიგორიანულ გალობას, მამა ერიკმა გადაწყვიტა ინგლისურ ამწვანებულ ბორცვებს დაბრუნებოდა და სულ რაღაც 41 წლის ასაკში, 2015 წელს, იგი ცენტრალურ ინგლისში მდებარე წმიდა ბერნარდის ცისტერციანული მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. ეს იყო პირველი მონასტერი, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჰენრი VIII-ის რეფორმაციის შემდეგ (1534 წელს, უზენაესობის აქტის თანახმად) დაარსდა. მისი ხელმძღვანელობით, მონასტერი, ზაფხულში ლავანდის სურნელში გახვეული, რომელიც წმიდა ბენედიქტეს წესით ცხოვრობდა, მოგვიანებით კი წმიდა ბერნარდის რეფორმით, რომელიც თავისი შრომით ირჩენდა თავს, რძის წარმოებიდან გაერთიანებულ სამეფოში პირველი ტრაპისტული ლუდის წარმოებაზე გადავიდა: ბერების მიერ შემუშავებული უძველესი რეცეპტით, რომელიც დღესაც მუშაობს: ზუსტად ისე, როგორც ღმერთმა აკურთხა ეს ნორვეგიელი, რომელიც ხუთ ენაზე საუბრობდა და კითხულებდა, სულ მცირე, ათზე, მათ შორის, ებრაულსა და რუსულზე.

„დღენიადაგ საკუთარი თავის შეცნობის ძიებაში ვიყავი... დღესაც ყოველდღიურად ვსწავლობ, როგორ უარვყო ეგოცენტრიზმი. ზიარება მეხმარება სიწმინდისაკენ ჩემს მოწოდებაში; მეხმარება ცოდვების დაძლევაში, რათა განვახორციელო ის ჩანაფიქრი, რაც ღმერთს ჰქონდა ჩემი შექმნისას“. სწორედ ამიტომ, ეს იქცევა „სიხარულად, რომელიც ყოველდღე ღრმავდება, რადგან სამონასტრო გამოცდილებამ ჩემსავე რეალობაში გაიდგა ფესვები, ზოგჯერ რთულ და დამამცირებელ, მაგრამ სიღრმისეულად ჭეშმარიტ რეალობაში“.

ამ ღრმა სულიერი სიმშვიდის მისაღწევად მას დაახლოებით ოცდაათი წელი დასჭირდა.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

წმიდა ბერნარდის ცისტერციანული მონასტერი

კარმენ რენდილეს მარტინესი

ვენესუელელი კათოლიკე მონაზონი კარმენ რენდილეს მარტინესი (Carmen Rendiles Martínez) დაიბადა კარაკასში 1903 წლის 11 აგვისტოს. ის მონათლეს იმავე წლის სექტემბერში კარაკასის წმიდა ანას საკათედრო ტაძარში. მისი მშობლები, რამირო ანტონიო რენდილესი და ანა მარტინესიი ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. მათ ოჯახში სუფრა არ გაიშლებოდა კურთხევის გარეშე, სადილობის შემდგომ ყოველთვის ლოცულობდნენ სავარდს და ყოველ კვირას მონაწილეობდნენ წმიდა წირვაში. სწორედ ასეთი აღზრდის შედეგად გამოავლინა კარმენმა საოცარი ერთგულება კათოლიკური რწმენისადმი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის ევქარისტია. კარმენი დაიბადა მარცხენა ხელის გარეშე და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იძულებული იყო ეტარებინა მძიმე პროთეზი, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა სწავლასა და მუშაობაში.

მან დაწყებითი განათლება მიიღო სან ხოსე დე ტარბეს ელ პარაისოს (El Colegio San José de Tarbes El Paraíso) სკოლაში. შემდეგ იგი დაინტერესდა ხატვითა და ფერწერით, დაიწყო კიდეც შესწავლა, მაგრამ მალე დაანება თავი ამ საქმიანობას, რათა მონაზვნური ცხოვრებისათვის მიეძღვნა თავი. იგი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ასაკში დაინტერესდა რელიგიური ცხოვრებით, სურდა სრულად მიეძღვნა თავი ღვთის მსახურებისათვის, მაგრამ ფილტვების დაავადება აღმოაჩნდა, რამაც ხელი შეუშალა სურვილის განხორციელებაში. გამოჯანმრთელებისთანავე მან რამდენიმე მონასტერს მიაკითხა, მაგრამ ყველგან უარი მიიღო მარცხელა ხელის უქონლობის გამო.

1926 წლის დეკემბერს ვენესუელაში საფრანგეთიდან ჩავიდნენ მონაზვნები, რომლებიც მსახურებდნენ ორდენში ,,ევქარისტიის მსახურნი". კარმენი მოიხიბლა მათი ქარიზმით და მიიჩნია, რომ ეს იყო ნიშანი, რათა მათ ორდენს შეერთებოდა. იგი ასეც მოიქცა, ხოლო 1928 წელს დროებითი სამონაზვნო აღთქმა დადო. რათა უკეთ მომზადებულიყო, წინამძღვარმა და კარმენი გაგზავნა საფრანგეთში, ტულუზაში, სადაც მდებარეობდა ორდენის მთავარი სახლი. 1832 წლის 8 სექტემბერს მან სამუდამო აღთქმა დადო და სახელად მიიღო მარია კარმენი. რამდენიმე წლის შემდეგ იგი დაინიშნა მორჩილთა წინამძღვრად.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1945 წელს, კარმენი ვენესუელასა და კოლუმბიაში ორდენის მიერ დაარსებული სახლების უფროსად აირჩიეს. ამ დროის განმავლობაში, ვიდრე 60-იან წლებამდე, დედა კარმენმა ვენესუელის ქალაქ სან-კრისტობალში, ტაჩირის შტატში, დააფუძნა სახლი, რომელიც მოგვიანებით სკოლად გადაკეთდა. დებმა მუშაობა დაიწყეს სან-კრისტობალის ეპარქიის სემინარიაში, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლუმბიაში, ქალაქ კუკუტაში გადავიდნენ, ვენესუელის საზღვართან; კარაკასში მთავარეპისკოპოსის სასახლესა და სანტა-ანას საკათედრო ტაძარში მსახურებდნენ. მათ კარაკასში დააარსეს ბელენის სკოლა, ხოლო მერიდას შტატის ქალაქ ლა პუნტაში - „სავარდის ღვთისმშობლის" სკოლა. 1959 წელს დედა კარმენმა თავისი ბავშვობის სახლი კონგრეგაციას გადასცა. კარაკასის პრესტიჟულ უბან ელ-პარაისოში მდებარე სკოლა დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების გოგონების აღსაზრდელად იყო განკუთვნილი.

მოულოდნელად ევროპელმა მონაზვნებმა გადაწყვიტეს, შეეცვალათ თავდაპირველი წესდება, გაეხადათ სამონაზვნო შესამოსელი და ორდენი გარდაექმნათ საერო საკრებულოდ, რასაც დედა კარმენი შეეწინააღმდეგა. ასევე, ვენესუელასა და კოლუმბიაში მყოფმა მონაზვნებმა, ეპისკოპოსებისა და მღვდლების მხარდაჭერით, გადაწყვიტეს,

კონგრეგაციის პრინციპების ერთგული დარჩენილიყვნენ. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, დედა კარმენმა 1965 წელს სამოციქულო საყდარს შუამდგომლობით მიმართა ლათინურამერიკული საკრებულოს ფრანგულისაგან გამოყოფის მოთხოვნით. ამგვარად, იმავე წლის 25 მარტს, შეიქმნა ახალი სამონაზვნო კონგრეგაცია ,,იესოს მსახურნი" და დედა კარმენი მალევე აირჩიეს მის გენერალურ წინამძღვრად. ორდენს მხარი დაუჭირა კარდინალმა და კარაკასის მთავარეპისკოპოსმა ხოსე უმბერტო კინტერო პარამ. ამ პერიოდში მან კონგრეგაციის დებთან ერთად დააფუძნა რამდენიმე სკოლა და სახლი, მათ შორის, წმიდა ანას სკოლა კარაკასში. დედა კარმენის გულმოდგინეობით საკრებულოები დაარსდა ვენესუელისა და კოლუმბიის სხვა ეპარქიებშიც. მონაზვნები კატეხიზაციებს ატარებდნენ სამრევლოებში, ხელმძღვანელობდნენ კოლეჯებს და ემსახურებოდნენ გაჭირვებულებს.

1974 წელს დედა კარმენი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა, რის შედეგადაც ფეხების მოტეხილობის გამო მთელი ცხოვრება ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. სუსტი ჯანმრთელობისა და ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, იგი დაუღალავად აარსებდა და ავითარებდა სხვადასხვა დაწესებულებას მსახურებისათვის. სამოციქულო შრომით დაღლილი, დედა კარმენი 1977 წლის 9 მაისს გარდაიცვალა გრიპით. მისი დაკრძალვა 10 მაისს, ალტაგრასიას (კარაკასი) სამრევლოში, ლუნეტა-ა-კახა-დე-აგუას კონგრეგაციის მთავარი სახლის სამლოცველოში გაიმართა. იგი ლოს-პალოს-გრანდესში (Los Palos Grandes), ბელენის სკოლის სამლოცველოში დაკრძალეს.

2018 წელს, მას შემდეგ, რაც პაპმა ფრანცისკემ დაამტკიცა დეკრეტი, რომლითაც აღიარებულია სასწაული, რომელიც მიეწერება ღირს დედა კარმენ რენდილესს, იგი ნეტარად იქნა შერაცხული და გახდა მესამე ნეტარი მონაზონი კარაკასიდან ვენესუელის კათოლიკე ეკლესიის ისტორიაში. ხოლო 2025 წლის 19 ოქტომბერს იგი, ხოსე გრეგორიო ერნანდესთან ერთად, წმიდანად იქნა აღიარებული პაპ ლეონ XIV-ის მიერ და ისინი გახდნენ პირველი ვენესუელელი წმიდანები. დედა კარმენის მოხსენიების დღეა 9 მაისი.

იმავე წლის 20 ოქტომბერს მის პატივსაცემად კარაკასში საზეიმოდ გაიხსნა მოედანი Santa Madre Carmen de Venezuela - სანტა მადრე კარმენ დე ვენესუელა.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

Los Palos Grandes

„Amoris Laetitia“
პაპ ფრანცისკეს დიდი საჩუქარი

ათი წელი გავიდა პაპ ფრანცისკეს ენციკლიკის „Amoris Laetitia“ (2016) გამოქვეყნებიდან და დღეს უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს არის ოჯახის თემატიკაზე შექმნილი ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო დოკუმენტი, რომელიც, პაპ იოანე პავლე მეორის კვალდაკვალ და მისი ენციკლიკის Familiaris Consortio-ს ერთგულებით, გვთავაზობს თეოლოგიურ და სამწყსო სინთეზს, რომელსაც შეუძლია ერთმანეთთან შეაჯეროს დოქტრინა, პრაქტიკა და განსჯა. ენციკლიკა „Amoris Laetitia“ დღევანდელ ოჯახებს ძალიან მკაფიო და კვლავ აქტუალურ გზავნილს სთავაზობს, არა „ახალი წესების“ გაგებით, არამედ ოჯახური რეალობის განსხვავებული პერსპექტივით. ენციკლიკის განმსაზღვრელი ელემენტია, ოჯახის იდეალიზებული და აბსტრაქტული ხედვა შეცვალოს რეალისტური, ისტორიულ-ეგზისტენციალური მიდგომის სასარგებლოდ. როგორც ტექსტშია ნათქვამი, **„არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი იდეალური ოჯახი; პირიქით, ის მოითხოვს სიყვარულის უნარის თანდათანობით განვითარებას“** (AL, 325). ოჯახი სამწყსო ზრუნვის აქტიური სუბიექტია, რომელიც ჩართულია კონკრეტულ დინამიკაში, თავისი შეზღუდვებითა და ზრდის შესაძლებლობებით. ამ გაგებით, ცოლქმრული სიყვარული განიმარტება, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც ყოველდღიურად იგება კონკრეტული არჩევანის გზით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამწყსო განსჯის პრინციპი, რომელიც მოითხოვს ოჯახურ სიტუაციათა უნიკალურობის გათვალისწინებას. ენციკლიკა ხაზს უსვამს, რომ „არასწორია მხოლოდ იმის განხილვა, შეესაბამება თუ არა ადამიანის ქმედებები კანონსა თუ ზოგად ნორმას“ (AL, 304), რითაც მიუთითებს სიტუაციების სირთულისადმი უფრო გულისხმიერი მიდგომის აუცილებლობაზე. ენციკლიკა განიზრახავს არა ქრისტიანული იდეალის გარდაქმნას, არამედ ისწრაფვის მისი გონივრული გამოყენებისაკენ და აღიარებს, რომ „პასუხისმგებლობის ხარისხი თანაბარი არ არის ყველა შემთხვევაში“ (AL, 302). ის ოჯახური სიყვარულის თეოლოგიურ ხედვას გვთავაზობს, რამეთუ ოჯახი ღვთაებრივ სიყვარულში მონაწილეობს. მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მონაკვეთში ნათქვამია, რომ „ოჯახებში განცდილი სიყვარული და სიხარული ეკლესიის ზეიმიცაა“ (AL, 1), რაც ხაზს უსვამს ოჯახური გამოცდილების საეკლესიო ღირებულებას. ასე ხდება ოჯახი რწმენის გადაცემისა და პიროვნების მთლიანი ჩამოყალიბების უპირატესი ადგილი. ათი წლის შემდეგ „Amoris Laetitia“ კვლავ წარმოადგენს თეოლოგიური განსჯისა და სამწყსო პრაქტიკის ფუნდამენტურ წერტილს, რომელიც გვაწვდის კრიტერიუმებსა და დროულ მითითებებს თანამედროვე სამყაროში ოჯახის სახეცვლილებათა მისაღებად.

ამ ენციკლიკით პაპმა დაგვიტოვა მკაფიო და უმნიშვნელოვანესი გზავნილები, მათ შორის: ოჯახმა არ უნდა მისდიოს მიუწვდომელ იდეალს. პაპი ფრანცისკე დასძენს, რომ ნამდვილი ოჯახი, თავისი სუსტი მხარეებით, უკვე წყალობის ადგილია. დღევანდელ ოჯახებს შვებას ჰგვრის იმის თქმა, რომ ისინი უნდა იყვნენ არა სრულყოფილები, არამედ ავთენტურები. სიყვარულში ზრდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეცდომების არარსებობა. სისუსტე არ არის მარცხი, ეს ყველა ოჯახის ისტორიის ნაწილია, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას ზრდის შესაძლებლობად. სამყარო მიდრეკილია, უგულებელყოს და თავიდან მოიშოროს ყველაფერი, რაც უფუნქციოა; ენციკლიკა მოგვიწოდებს: ველოდოთ, ვიღვაწოთ და აღვადგინოთ. ყოველდღიური დიალოგი, რომელიც შედგება მოსმენის, პატივისცემისა და მცირე ჟესტებისაგან, არის ნამდვილი ძალა, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას ეხიდება. არცერთმა ოჯახმა არ უნდა იგრძნოს თავი მარტოდ: საზოგადოება და ეკლესია მოწოდებულია, თანადგომა გამოუცხადოს მას და არა განსაჯოს. ოჯახი რჩება იმ ადგილად, სადაც სიყვარული კონკრეტულად ისხამს ხორცს, და სადაც ყოველდღიურად ვეზიარებით იმ სიხარულს, რაც თან სდევს სიყვარულს.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ „ინერ ჯორჯიამ“, პროექტის ფარგლებში, შეძლო ენციკლიკის სრულად ჩაწერა და, Catholic. ge-ს მხარდაჭერით, YouTube არხზე მისი განთავსება. შეგიძლიათ მოძებნოთ და მოუსმინოთ ამ აქტუალურსა და ლამაზ ენციკლიკას ბმულზე: https://youtu.be/7LKhXk231bI?si=F4B4WhOABxstcnLm

აქვე, ვსარგებლობთ შემთხვევით და 30 მაისს გიწვევთ წეროვანში ოჯახების ტრადიციულ დღესასწაულზე.

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

მაისი

1	წმ. იოსებ მშრომელის დღე, უდის „ქვედა ეკლესიის“ საკრებულოს დღეობა
3	წმ. ფილიპე და წმ. იაკობ მოციქულთა დღესასწაული
8	კამილიელ დ. მარია ნიკოლოზის გახსენება (+ 2005)
11	მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)
14	ამაღლება (ან კვირადღეს, 17 მაისს), ბუზმარეთის ეკლესიის დღეობა
14	წმ. მატათა მოციქულის დღესასწაული
14	წმ. მარია დომენიკა მაცარელოს, სალელ დედათა დამაარსებლის ხსენება
24	სულთმოფენობა, ბათუმის ახალი ეკლესიის დღეობა
24	მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)
30	ოჯახების შეხვედრა წეროვანში
31	ყოვლადწმიდა სამების დიდდღესასწაული

სარჩევი

რედაქტორის გვერდი ... 2-3
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 4-5
ჩვენი ეკლესია..... 6-8
ისტორიის ფურცლები . 9-10
ჩანართი:.....I-IV
კათოლიკური პასუხი..... 11
ბიბლიური გვერდი.... 12-13
გზა კათოლიკე ეკლესიისაკენ..... 14-15
ახალი წმიდანები 16-17
სოციალური გვერდი - Iner Georgia 18
ინფორმაცია..... 19

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

ნოდარ ყულჯანიშვილი
* 03.1 0.1 953, კახარეთი
† 22. 02. 2026, კახარეთი

სვეტლანა ასეევა-აფრიამაშვილი
* 01. 01.1953, ტყიბული
† 22. 02. 2026, რუსთავი

რისო აფრიამაშვილი
* 17. 12. 1935, არალი
† 01. 03. 2026, არალი

ოლეგ მანველოვი
* 17. 11. 1981, ვალე
† 11. 03. 2026, ვალე

თამარ ხითარიშვილი
* 06. 05. 1939, ვალე
† 14. 03. 2026, ვალე



ანზორ (ვანო) ხითარიშვილი
16. 10. 1952, ვალე
04. 04. 2026, ვალე

გურამ მაისურაძე
* 13. 02. 1939, უდე
† 29. 01. 2026, უდე

კამილა კორინთელი
* 19. 10. 1932, თბილისი
† 08. 02. 2026, თბილისი

მაყვალა მჭედლიშვილი
* 06.08.1942, ახალციხე
† 09.02.2026, აბასთუმანი

თამარ თეოდორაძე-ფხაკაძე
* 10. 05. 1939, ლენტეხი
† 09. 02. 2026,
წყალტუბო

ნინო (თინა) გზირიშვილი
* 01.04.1939, ივლიტა
† 13. 02. 2026, უდე

მარინე ყულჯანიშვილი
* 07. 05. 1968, უდე
† 15. 02. 2026, ახალციხე